სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება №176

ხარაგაული 02 ნოემბერი 2017 წ.

ერთის მხრივ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის ნიკოლოზ თოფურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მაიპისი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნატალია ქვარიანის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი – შემსყიდველს.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის 35 ერთეული სამაგიდე ფირნიშის შესყიდვა (CPV44423400).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **192.50 (ას ოთხმოცდათორმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)** ლარს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად ან ეტაპობრივად, „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე, შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის დადებითი დასკვნისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტზე ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ერთჯერადად ან ეტაპობრივად.
5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადათ ითვლება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ, შესყიდვის ობიექტის მოწოდების დასრულების დადასტურების დღე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდება მოხდება შემდეგ მისამართზე. დ. ხარაგაული 9 აპრილის ქ. N15 გამგეობის მე-2 სართული.
6.2. საქონლის მიწოდება უნდა დასრულდეს 2017 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა)განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3.მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულები სანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვასხელშეკრულებით გათვალისწინებულ იყველა პირობა.
ბ) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2. პუნქტში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი კონტროლის ჯგუფი.
8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის, გაწეული მომსახურეობის და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს.
8.3. ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

დაუძლეველი ძალის გარდა ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

9.1. იმ შემთხვევაში თუ ,,მიმწოდებელი" არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს შემსყიდველს უფლება აქვს ,,დასაბუთებული გადაწყვეტილებით" ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო შემსყიდველის სასარგებლოდ, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტის **19.25 (ცხრამეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარის** ოდენობით.
9.2. თუ მიმწოდებელი გადააცილებს ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების ვადას, შესყიდვის ობიექტის მოწოდების დაგვიანებით მიწოდებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02%–ის ოდენობით.
9.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.2 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების (დაკისრებული პირგასამდეხლო) ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%–ს, ,,შემსყიდველს"უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1 და 9.2 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

9.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს, მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
9.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებულია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში
მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვადებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა.

12.1 შესყიდვის ობიექტ(ებ)ზე საგარანტიო ვადები არ გამოიყენება.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გამგებელი
ნიკოლოზ თოფურიძე

ს.ს. „ლიბერთი ბანკის“
ხარაგაულის ფილიალი
კოდი: LBRTGE22
ა/ნ № GE81LB0120141455357000
ს/კოდი: 243570989
მის. დ. ხარაგაული, 9 აპრილის ქ. №15

მიმწოდებელი:

შპს „მაიპისი“
დირექტორი
ნატალია ქვარიანი

ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“
ცენტრალური ფილიალი
კოდი: MIBGGE22
ა/ნ № GE23PC0213600100015506
ს/კოდი: 412694071
მის. ქ.ქუთაისი, ფანჯიკიძის ქ. N28
ტელ: 0431 246079